დოროთეა

ხილვანი

დოროთეა

ხილვანი

თბილისი 2016 წ.

UDC (უაკ) 821.353.1-1
დ-767
ჯ-543

© დოროთეა 2016
ISBN 978-9941-0-8736-3

გაზაფხულის სუნი

მიდის დროთა ხარი,
განუჭრია მიწა მთვარის,
ცას აქვს მოლოდინის თვალი,
ქალწულებრი წყნარი,
არს ბუნიობის წამი,
დღე განიწონება ღამით,
არანაირი შფოთი, არანაირი ქარი,
მხოლოდ მოლოდინი,
მხოლოდ მოლოდინი წყნარი
რაღაც უხილავის.

არს თესლად დაყოვნება სულის,
თანაც ზღვარს გადასული,
გადაუბრუნებიათ მთვარის ბელტი...
ჩანს წყლული ჩასათესი,
მაგრამ სად არს სული,
ტალახს ანაზელი?
სულს აქვს თესლი, თვალებაღუხელი.
მთვარეს კი გადაბრუნებული ბელტი,
მაგრამ ვინ არს დამთესი?
მთვარე ახალი - სასწორი ჟამის,
სულს ყიდის წონით,
ელის ვაჭარს,
უდაბური ხორშაკებით მავალს
და არ აქვს განცდა
ქალწულებრი წყნარი,

აქვს ვნება,
ვნება, განაზომი ოცდაათ ვერცხლად.

მიაქვს ზლაზვნას აქლემთა
აღმოსავლეთისკენ
სულის ჩემის დაყოვნება თესლად,
განუჭრელი სავსე მთვარე,
როგორც ტბორი რამე,
დაალევინეთ დროთა ხარებს,
მძიმედ მიატანენ უღელს,
მოლოდინისას უძღებს,
მიწას აჩენენ წყლულებს, ჩასათესს.

მომლოდინე ღამეს დაასვეს
ბეჭდად განუტეხელი მთვარე,
მაგრამ დათხარეს და დაიპარეს,
ახლა კი ვეძებთ მპარავს,
აღუყვავებელი სულით მავალს,

ჩანს მთვარეზე მთხრებლი აღუვსები,
ბრმები მასწავლიან ბრმას გზას,
გარდვიჩეხები მთვარის ზღვარს,
თან წავიღებ მოლოდინს,

ქალწულებრს და წყნარს
და ბუნიობის წამს
გავახანგრძლივებ მარადისობად მწამს.

ჟამთა ხარებს
განუჭრიათ მიწა მთვარის
და მარადიული მოლოდება სულის
დადის ვით გაზაფხულის სუნი.

მდევრები

ღამეს შავი ემოსა კაბა,
ვარსკვლავები ნაწიბურებად აჩნდა
და თეთრი ბურანი მთვარის
ნამთვრალევივით აჰყვა-აელანდა.
გუშინი, სიზმრად ბნელი,
ნაერთგულებ მეგობრად დამრჩა,
გველის ლიბოში ზლაზვნა,
ცოლის ალერსად შამრჩა.
და შორით ჩხავილი ყვავის
დედის მოთქმებად დამხვდა,
რაც რამ დაიწყო ეშხით,
გაქრა, დაიკარგა კვამლად
და ნაკვერჩხლები ძველი
ცამ გადიყარა გაღმით მთათა.
სუნთქვის მანძილზე ედგა
ვარსკვლავი ვარსკვლავს,
მაგრამ გზაი ცხრა მთა გახდა,
ლოდინის მძიმე ლოდით
ვერვინ ვერ გადახდა მათგან,

თუმცა მანძილი ერთი ამოსუნთქვის
გახლდათ.
მეგონა მოგაწევდი ხმას,
ხელები აღმეპყრო ცად!!
მაგრამ მხარმდგომმა მომტეხა ფრთა,
გამომეცალა, განმიდგა განს.
ალბათ დაალბო მიწა
ჩემი ცრემლების წვიმამ
და მეწყერმაც გამყარა მას.
ვინც უნდა მდგომოდა მხარს,
ნუვინ შემინდობთ ბრალს,
რაიც მივაგე უნდოდ დაკარგულ ძმას,
და ნურად ჰგონებთ ხმას,
რომ ასწვდება ცას და მიმოძრავს.
დე, ტრამალს დაკარგული ქარივით ეგოს
ცალად
ნუვინ შეიწყნარებთ, ნუვინ შეიფარავთ!
მე ცოდვების ასხმა ძროხასავით
მკიდია ეჟვნებად
და არვინ დამკარგავს,
ეს სოფელი მომდევს მდევრებად,
საძოვარი უხვი, საძოვარი მსუყე,
არად მეგემა
და ოღრო-ჩოღროს დავიწყე ხეტება.
ცოდვები ხმობენ, ცოდვები ჟღერენ
და ჟამი ჩერდება.
რამ გაგაშავა, ღამევ, ჩემფერავ?
მე ბრალი მადევს, მთვარევ, შენდენა,

გული რომ მქონდეს, მთვარევ, შენხელა,
თოლთ არ დავაწყებინებდი
მწკლარტედ ცრემლთდენას;
რაი გატირებს? შესდექ შენფერად,
ვარსკლავი ხარებს ვარსკვლავამდე
სუნთქვის შერჩენას.

ცხელა

ცხელა,
არაბული ასოებივით გართხმულან
ძაღლები,
შენ ჩემი გჯერა
და სიყვარულით გიცინის თვალები,
დუმილის ფარდას
არწევს გრძნობათა ნიავქარები,
მაისობს ახლა სხვათა ეზო და ბაღჩა.
მხოლოდ ნიავი მოიტანს
ვარდებით სავსე კალათას,
თუკი შეიძლო
მდუმარების მძიმე ფარდის გადახსნა.
_მიყიდე ვარდი წითელი, თეთრი,
მაგრამ ყავლი გასვლია იმ ფულს,
შენ რომ გიჭირავს ხელში.
იღვრება ვარდების სურნელოვანი თქეში
ამ მდუმარების ფარდების ქვეშით.

ცხელა,
არაბული ასოებივით გართხმულან
ძაღლები,
ვკითხულობ ზაფხულის სცენარს _
ახლა ჯერ არს
მოქმედება დაიწყოს მეორე,
პირდაფჩენილ მაყურებელთა ტაშის
გრიალში,
გაისმის მდუმარების მძიმე ფარდის
ზანტი შრიალი,
გამოდის სიშიშვლე ქალის
ბერძნული ქიტონით
და ვარდებით შემკული თავით,
მონოლოგი _ დაუგლიჯავს ბაკქი,
დიალოგი ბაკქანალიით დაღლილი
ხალხის...
ფარდა ეშვება,
მოვიდა ცხელი წვიმის ორთქლი,
სცენარი წაიშალა - კლასი ნახატი
ფორთხვით,
და ცხელი ზაფხულის ღამეში
ჩაეცხო მთვარის შოთი,
სცენა ვერ უცვნია,
ფარდა ვერ უგრძვნია,
ყოფილა თეატრში ლოთი.
ძაღლები ყმუიან, თვალებიც ტყუიან,
ტრიალებს ჰაერში წვიმის ორთქლი.
ნასროლმა ვარდებმა დაკაწრეს

მდუმარების დაშვებული ფარდა,
ცხელა, ძალიან ცხელა ახლა!

არწივი გზას გაუდგა

ამ სამზეომ გვერდ იცვალა,
დედისერთა დიაცივით
საჯაროზედ დაბზრიალდა,
დახნულ მიწას დაემსგავსა,
ბელტებივით ატრიალდა,
გველებრ ჩაწვა, ჩაიხლართა,
ბოლო პირით დაიჭირა,
ბუდე კარგად გაიმაგრა,
სველი წელი დაკოკრილი
საჯაროზედ არ იმართა,
ცრემლის ჯაჭვმა არ ივარგა,
ჩალისაებრ დამიფანტა.
თხოვნის საგზალ არ იკადრა,
საარაფროდ გამიხადა,
ორკაპ ენა გადმოაგდო,
მათრახივით ათამაშა,
ჭურს ნაბზარი დაუჩინა,
სისხლს ღვინობა არ აცალა,
წითელი ტბა გაიმზადა
ჩაწვა შიგ და იცურავა,
როცა გაძღა, გაილაღა,

ენა სახრედ ამუშაკა.
სული - მატყლის თეთრი ქულა,
გამიჩეჩა, გამიფანტა,
გულს ფეხებში ჩაუგორდა
სულ ფესვები დაუთხარა,
მუხა, მთვარის ნაუღლები,
მიწის მტვერით დამიფარა,
მუხა, ქარს რომ კოჭს ამტვრევდა,
ჭიაღუათ გზად გაუხდა,
მუხა, მზეს რომ აბნელებდა,
ბალახებთან გამიცუდა,
მუხას მხარს რომ არწივ ეჯდა,
ის არწივი გზას გაუდგა.
უცხო მხარე მოიარა,
ჩემთან უკან არ დაბრუნდა,
უცხო რამე სახილველი
ნახა, თვალი მით აპურა,
ჩემი ნატვრის მსურიელი,
გული ამით გაიცუდა,
უნდო ყვარებულს მიმაგდო
არ ვიცი, სინდისს რა უქნა.
გველის ნაფერებ რო მნახა,
გული იჭვებმა დაუღრღნა,
ორკაპი სახრე სულს მოხვდა,
მატყლებ დაჩეჩა- დაწეწა,
ქარმა ხელი წამოავლო,
მთებს გულ-მკერდზე მიაფეთა.
თითქო მომკვდარა არწივი

ბუმბული მოდიდდა მტვერად,
არ ვიცი მოკვდა არწივი,
არ ვიცი გველმა სული ჩეჩა.

საგაზაფხულო

ფითრი ყვავილების,
ნაზი ნათრთვილები,
ბალახში ჩაკარგული გზა,
სიო ნაფერები,
მზეში გახელებით
გაზაფხულის მონარნარე ხმა.
მუხლებმოთიბული,
ხელებმოწყვეტილი,
დაეპობა დაეკარგება სხვას.
დაღლილ ტკივილებს
კვნესად მივიღებ,
შევყეფ უსასრულობის კარს,
კი არ მიმოვალ,
ნაზი ჩრდილო ვარ,
უჩუმრად ვეზიდები ტანს,
ღრუბლად ვშობილვარ,
ცრემლებს მოვწყვიტავ,
მზეს შევებმები კვალს.
ცრემლებს მოვზიდავ,
დღეებს მოვკინწლავ,

ვაყენებ გუბეებს შავს.
დავეცეცები ყველგან ჩრდილოვნად,
ალერსს დავატარებ თან,
კუნჭულ - კუთხეებში,
მერცხლის ბუდეებში,
კვლავ გაზაფხული დგას.
და ღამე მერცხალივით შავი,
მოსული უცხო მხარით,
მთვარეს მერცხლის ბუდედ თხზავს.
მზეში კი სისხლი იმდენია,
რომ მისი ქლამინდი
ალივით წითელია,
ცრემლი დამშრობია,
ცრემლი გამხმობია
და მის კარზე თეთრად მივგდებივარ.
ველურ ყვავილთა თივად მივბნევივარ,
ცეცხლს ცეცხლად მივგზნებივარ,
ალს თესლად ვდებივარ,
მიწას კი ოდესღაც
ჩრდილოდ ვწვევივარ,
ღრუბლად ვშობილვარ ჩანს.
უსასრულობაში დღეები
წითელქლამინდიან სხეულით მიდიან,
ღამე მთვარის ბუდეს თხზავს
დილით ლანდი ვარ
ღრუბლის კაბიდან,
ყვავილს არ ვუმძიმებ თავს,
ღამეში ჩავდნები,

ღამეში ჩავტკბები,
გადავამეტებ აზრს.
თეთრი ყვავილების
ნაზი ნათრთვილები _
აი, გაზაფხულის გზა.
წითელქლამინდიან
სხეულით მიდიან
უსასრულობას კვლავ!

აღმოსავლური მარადისობა

ხელთუქმნელ ბაღნარს აპოხიერებენ,
უყრიან ჭკნობის ნაცარს,
რა ქნან? საშემოდგომო ოქროს ზღაპარს
დროით ნაპარს, ყრიან დაბლა
და ჰგავს ნაგავს
სული?
სული ნაგვის საყარს.
ვხვეტ, რაც რა ეცემა დაბლა,
ფიქრი, ასული ცათა თავანს,
თუ ფიფქი, გაყინული მანა,
ან სიგარეტის ნამწვი
და გახეული კაბა.
ზედროულ, ზეარსულ კვდომად
აღმოსავლური მარადისობა მოვა
და მერე ვნებიანმა ცდომამ
იძვრისების მარადისობა შობა.
ორია მარადიული ყოფა
და სად არს გაყოფა?
მერე ყოვნი გარდასახვებს შორის
და არ გაქვს მარადისობისეული
უარსობის ქონის,
თუ კვდომის ძალა.
არ იცი, ისურვო უსურვილოდ როგორ,
იქნები მხოლო,
ხოლო მარადისობა უმხოლოო.
არის უპირო არსი

და პიროვნული არაარსი,
მაგრამ როგორ?
თუ სურვილია ვნება და ტანჯვა,
თან ძალა მამხოლოვებელი.
არა! არა! არა!
არააღმოსავლური მექნება ტანჯვა,
რომ სულში მაყრიან ნაგავს,
საშემოდგომოდ ნაყარს.

სალომეა

არს გრძნობის ვნებიანი როკვა
და თვალთა დაწუხება მოვა,
როგორც მორთმევა ლაკნით
მოკვეთილი თავის.
ბაგენი სხმულნი ხნულად სულის
არიან უტყვნი
და გახელებაა გრძნობის პირუტყვული,
სად ხარ, დედა?
მე, შვილმა შენმა, შენდა მაამებლად,
ვისწავლე დადუმება სულთა,
მაგრამ რად ვატარო ლაკნით
ეს აღუწონელი განძი?
ვნება ჟღერავს, ვნება ბგერავს
არ მაქვს წამი დანაყოვნი როკვის.
იელვა ალმასმა ხმალთა,

როგორც ვნებით მიმოძარღვულმა
ტანმა ქალთა,
დანადუმი სულის ლარნაკს
ჭირდება ზიდვა წყნარი
და ვის აქვს თავი?!
_ცეკვაა, ცეკვა დასაბამიერი ალის.
შეროკება ყველაზე უცხო
ველურთა მსგავსი,
შეტოკება ყოვლად უხმო,
თითქოს უკანასკნელი წამის.
სად ხარ, დედა?
ლაკნით მიიღე თავი
ჩემი აროკებული ტანის
ბოლო სასიკვდინე წამით.
. . . დადუმებაა სულთა
და ტვირთვა ლაკნით.

* * *

დანაპირები ჩანს ნაპირები,
მოდის გვერდუქცევი ზღვარი,
როგორც დაღალული ხმები, დაკარგული
არის ჩემი გემის კვალი.
აფრაშემოგლეჯილი კაბა
ქარის ხელისცეცებას გაჰყვა
და ჟინგამქრალი ქარი
თოლიების ფრთებქვეშ შემძვრალი არის
და შიშველია გემი
მზის ჩამოშლილი თმებით,
ჟღერს დაყუდება ბოლო,
როგორც ორღანს მომწყდარი აკორდი
საბოლოო.
არის ჟამი და ვარ ჟამში ჩანაქარვი,
არ მაქვს განძრევის თავი.
აღივსება კათხა ზღვათა,
მივაქარაგმე ზმანებათა წარსვლად
წარსული
და ამოუკითხავი დამრჩა
ყველაზე სრული, ყველაზე ვრცელი
ქარაგმა . . .
და უსახური, ჩემი მსახური
ჩრდილის სუდარის არის დამხური,
როს იქნება მზერის ჩაქარვება
და უხილავი რიფები ხილვადნი.
თოლიები ეძებენ დანამსხვრევი

გემის კვალს.
ფრთებში მრუში ქარი
არის ჟინგამქრალი,
თუმც ავხორცობისთვის ეძებს ჟამს.
აფრა მონაგლეჯი, მიზანს მონაწყვეტი,
არვის არ მისცემს თავს,
კდემამოსილი, სახემოშლილი
უსტარს სატრფიალოს ჰგავს.
ჟამი იყო, როგორც მძიმე ქარვა,
კვლავ ამოუცნობი იყო ქარაგმა
და იშლებოდა საღმრთო მწუხრის გამა,
არ ამოიკითხება არა, არა, არა!
და უსახურმა ჩემმა მსახურმა
ჩრდილის სუდარით თვალნი დამხურა.
დანაპირები ჩანს ნაპირები,
მოდის გვერდუქცევი ზღვარი,
ვარ როგორც დაღალული
ხმები, დაკარგული,
მძიმეა, მძიმე ქარვა ჟამის.

სოხუმის დაცემა

ყოვნის უფალი!
ლაზარე დახვდება მკვდარი.
და მარიამიც უფლის ფერხთან მჯდარი,
მართასავით იქნება გლოვით მკვდარი.
უფლის მეგობარი დაფლული არის,
ურიაებრი ისმის ზარი.
მოდის! მოდის ჯარი, მგლოვიარი!
დაქვრივებული რძლები,
დაობლებული ყრმები,
გაბერწებული წლები.
ჩამორღვეული მთებით, უვალი გზებით -
ეგვიპტისაკენ ლტოლვით ხსნა.
ვითარმე აღმოგვხდეს აწ სიონის ხმა,
ყორნებს უტოვებ დაუმარხავ მკვდარს
და თანაც გულისცალს.

ვიდრემდე ყოვნო, ღმერთო ჩემო?
განაპო მიწა აბელის სისხლმა,
წყვდიადში ისმის კაენის ჭრტინვა,
ოჰ, ოდეს აღუდგენს თესლს
ღმერთი დედას შვილმკვდარს.
მიმოდაზრუნავს მართა, რა ჰქნას?!
ამდენი უხამური, ამდენი უმაძღარი,
ამდენი უსაფარი
და . . . ადგილიც უდაბური არის.
. . . ყოვნის უფალი,

და . . . და გზად ამდენი მწყდარი,
არც რა გვაბადია
ხუთი პურის და ორი თევზის მეტი
და ვწყდებით, უმოწყალოდ ვწყდებით.

მრავალთათვის მიმოდაზრუნავს მართა
და დარდად არ აქვს ახლა,
რომ მარტო დარჩა:
მარიამი გლოვად გახლავთ.
ურიაებრი ისმის ზარი.
ლაზარე, უფლის მეგობარი,
ოთხი დღის არის მკვდარი.

ისეთი გვაქვს დარდი,
ღმერთიც კი სცრემლოებს
უძლურებას ჩვენსას,
ვიქნებით ცხოვარნი კვლადნი,
ოღონდ შევირაცხოთ შენსას.

ლაზარე ,,ყროდისღა”,
ოთხი დღის არის მკვდარი.
დავგმანოთ, დავგმანოთ გლოვის ლოდით
შემავალი გულის კარი,
ღმერთს დავუმალოთ ჩვენი ცოდვების
ყროლი,
განგოზილ საფლავებს მყოფი,
მარიამს ურიათა მოჰყვება ჯარი,
მარიამ, ლოდით დამალე ყროლი!

მოდის!
მოდის იესო, ვითარცა კრავი,
ურიებს ჰგონიათ ექნებათ ძალა,
სასიკვდინედ შეიპყრან
აღმადგინებელი მკვდართა,
ლაზარე გაუყვა ჯოჯოხეთისკენ
ოთხი დღის სავალს,
დარდის ლოდით ვმალავთ საფლავს,
საფლავს ცოდვების ყროლით
და მიმოდაზრუნავს მართა
მრავალს, მრავალს . . .

"შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა დასაყივარად"

ზეცანი ჩამოქცევასა
ლამობენ,
ლამისთვალობენ,
მომკვდარა კაცი ვაჟკაცი,
სოფელო, გაიხაროდე,
კანი იცვალა მიწამა,
თურმე იგიცა ყვარობდეს,
ბალახი გულში იბრუნა,
იგიცა ჯავრსა გვანობდეს,
საფლავს მწვერვალი ედიდა,
მყინვარიც შემოჰპარვოდეს,

ღვინია ხარის ქედივით
საფლავი პატრონს ხარობდეს,
და ცოლი მკვდრისა მზესავით
ბოლო ნათობას აჭკნობდეს,
მზეო, ჩამოხდი ზეციდან,
მცხუნვარნი შენნი განხმობდეს,
ქალი ქალთა მზის თვალთაგან
ბალახსა ცვრითა ალპობდეს.
და ჯაგრიანი გველივით
საფლავი ქალსა ყვარობდეს.
ზეცანი ჩამოქცევასა
ლამობენ ლამისთვალობენ,
მზე წაგივიდა, სოფელო,
ბნელის უკუნსა კმარობდე.

ლოცვა

უუძლურესმან ჭურჭელმან იტვირთა
ძლევა,
როცა ინება ესე ღმერთმან.
ცხოვრება ჩემი, ვითარ წყალთა სვლა
ჯოჯოხეთისკენ მიილტვის
და არ აქვს ცვლა.
ინებე, ღმერთო, ჩემი ხსნა,
ანუ განაპე იგი, ანუ უბრძანე
მართლუკუნ სვლა.
არა დამაგდო ობლად, დედაო,
კაცებას ჩემსას მოსიკვდიდ ხედავო,
ავედრე ძესაო
მხოლოდშობილი სული ესაო,
წარიწყმიდება, წარიპარება,
შენ დაირჩინე, დედავ, შენსაო.

ადონაი

ადონაი, ამონაძირკვი სულის ჩემის
ატარებს საბედისწერო კვალს ვერ
შევსების.
სამყარო მრავალთა ფერით
ეცდება აღავსოს,
მაგრამ ვერ რით.
სული დამსდევს ქვედაწევით,
ცათა ფრინველთა
მოტეხილი ფრთა ვით
და ჟამი, დაძირული
ახალი მთვარის ნავით,
წავიდა გზებით ღამის.
ამოძირკულა სული,
ვინ უწყის, რომელ ედემ-ბაღშია
გადარგული,
მაგრამ მისგან გარიყული
ვპოვე უდაბურება სრული.
უკანმოუხედავად წავიდა იგი
და სადღაც, შიგნით,
ნაპირებმა ვერ შეკრეს პირი
და დარჩნენ დახეთქილნი.
მზესაც მოაკლდა სხივი
ვარსკლავებიც ემცირათ ცათა,
სამყარომ კი ფერთა სიღარიბე ნახა,
როს ამ ნახეთქის ავსება სცადა,
ყოველივე იქცა მიწად შავად

და მხოლოდ იგი დაშთა,
სიცოცხლის ხარების ნაშთად
ამოძირკულა სული,
რომ განმზადოს სამარე-შავი და ცივი,
თვით სამყაროზე ასჯერ დიდი.

ადონაი, ახალი მთვარის ნავით
დაძირულია ჩემი ბედკრული ჟამი.
ჰოი, ადონაი!
საით წავიდა სული, საით?!

ნეტავ მას!

ანკარა წყაროში ფეხშიშველმა ვიკადრე
შესვლა,
აიმღვრა უპირველესი ნათელი შვება,
სიმშვიდე მოუსავლეთში გაიტაცა შავმა
ცხენმა,
გზა უკან სავალი ნალებით ჩაითქერა.
მას იქით რა იქნება? როცა შავი ღამე
აეხლართება მნათობთა ნათელს,
უფსკრულებმა კი მთანი შთანთქეს,
ვარსკვლავების ხილვა დამიბინდა
იმ შავი ცხენის ნალების ბზინვამ,
ასე მგონია, ეს ჩემი ცხოვრება
ნალების გამოჭედვისას მოხელე ბიჭად

იდგა,
შავ ულაყს კი
ჩემი საფლავის ბალახი აძოვეს თივად
და მანაც სიმშვიდე გაიტაცა მშვიდად.
მე კი დავეხეტები მას შემდეგ მწირად,
ყველა გზამ უმოწყალოდ გამწირა,
ნათელი შავ ღამეს აებურდა
და მთვარემაც სხივი გაიმრუდა.
გზებში სააღვირე თოკის ვერმპოვი
სიმშვიდეს სამუდამოდ გამოვეთხოვი,
მაგრამ ვაი, რომ ჩემს ცაზე
ძაძითმოსილი მთვარე
ულაყის ტანზე დავანებულ სიმშვიდედ
ვნახე,
მაგრამ ვერ კი გადავლახე ბნელი,
რომ ვპოვო ნათელი.

ჩიტები ცისკარს
ეჟღურტულებიან ღამის სიზმარს.
ნეტავ მას, ვისაც
ამ უკუნის ხილვა
ქრისტე ღმერთთან ჩიტებივით გალობად
მიაქვს!
ანკარა წყაროში ფეხშიშველმა ვიკადრე
შესვლა,
აიმღვრა უპირველესი ნათელი შვება,
მე კი ქრისტე ღმერთთან მგალობელად
მინდოდა ხლება.

ვენერა

წარეწირება სხივი მწუხრის კარებს,
გაყინული თვალები ხმობენ _ “
,,გვალე, მალე!”
სანთლების ცრემლებით
ჩამოკიბულა ღამე,
ტალღა მოაჭენებს ტალღებს
ამ ღელვაუძლებ მხარეს.
მკვდრის თვალებიდან არის სული
ამოსული,
დაშთა სიცარიელე, ვით ოკეანე,
დასაბამიერ წყალთა უსრული.
კრიალოსნებივით ტალღათა ფანტვა
ვერ აავსებს ამ სიცარიელეს ზღვათა,
ტალღა შეაჯდა ტალღას,
და ნაპირებად მოჩანს დაღლა,
ცხოვრება, სიგიჟით ანაქაფი, შობს კი
ვენერას
მშვენიერებად შენაქმნს?
არა, ზღვას აქვს ბერწი დუჟი
და ჭკუიდან შეშლილის ქშენა,
ცის სარკეს არანაირი არ აჩნია
შემღვრევა.
ამდენი ტანჯვა, ამდენი სწრაფვა,
ამდენი მიმოფეთება,
და ბოლოს მხოლოდ დაღლის ნაპირზე
დუჟის, ბერწის, გადმონერწყვება.

ო! როგორ გშობო
გამოუთქმელ მშვენიერებად, ქაფო
ვენერა?
ტალღა აზის ტალღას და ზღვას განვლი
ხმელეთად,
თუკი ვისწავლე ჩამოცრემლება.
სანთლად ჩამოკიბული ღამეებით გიხმობ
- “გვალე მალე”, ამ მღელვარე
სიცარიელისგან შემიწყნარე!
დაღლის ნაპირზე განისვენებს ქალი
ვენერა,
ო, ქაფივით დაკარგულო მშვენიერებავ!

რღვნაი

მე ვერ ვიპოვე თავი ჩემი . . .
ვეძიე ბევრი,
ქარით მიმორწეულ ტყეში,
მტვერში შეფარულ გზებში,
კიდე დაკარგულ ზღვებში,
ცაში შეღრუბლულ მთებში.
ისეთ სინათლეს შევწვდი,
ბალახმაც ვერ მოიდგა ფეხი,
ისეთ სიღრმეში ჩავეშვი,
მზესაც კი ებრმავა თვალებში,
ისეთი ფონით გავედი,

რომ პირს მკიდებდნენ წარღვნები.
ისეთ მნათობებს ვუსწორე მზერა,
რომ მზეც კი შეიქმნა ბნელად,
მაგრამ ღვიოდა ისეთი სანთელი,
რომ ნათელშიც იყო ნათელი
და აწი კი ვითარ შევხარო მთვარეს,
ყოველ დილით რომ თვის ალაგს სცვალებს.
ვეძიე ბევრი,
მაგრამ ვერ რით შევხვდი;
თავიდანვე მეცვალა გვერდი,
მე ხომ გარეთ ვეძიებდი,
მას, რაც ყველა გარეგანს ასცდა
და თავანი გადიარა ცათა,
ის ალბათ იყო, მზის ამოსვლის
და ჩასვლის მიღმა,
ის გზის დასაწყისთან
და დასასრულთან იდგა,
მზესავით თბილი ჰქონდა გული,
ბადრი მთვარესავით სიყვარული სრული,
უბე კი ვარსკვლავებით სავსე,
მაგრამ არ გამომყოლია გზაზე
აქ ქარიშხალთა მხარეს.
ქარიშხლის ზვირთებივით გაჭენებულან
ფიქრები გარეთ,
ჰგონიათ იპოვიან რამეს
მასზე უძლიერესს,
მასზე უსავსესს! ვეძებდი,
მაგრამ ვერ ვიპოვე ვერრა

ტკივილზე მეტი;
ტკივილი მთვარის ვერ გამთლიანების,
ტკივილი მზესთან ვერ შეხვედრის,
სულო შეძეძვილო ძაძით,
გზებით გაგექცევი
და გზებს შენკენ მავალს
მე უშენოდ გავალ.
მაგრამ გზა არ გაიწელება ისე,
რომ ვარსკვლავებს მისწვდეს
და ვერც ღამეს გამოზრდის დილის
ცალად,
გზა დღესაც გაეცალა,
გზა ღამესაც გაეცალა,
მე მინდოდა, მეპოვა გზაზე თავი ჩემი,
მაგრამ მხოლოდ დროთა ნამუსრევს
- შემოდგომის ფოთლებს შევხვდი.
მე კი ვეძიე,
მაგრამ გზისთვის ტვირთი
ესრეთ იყო მძიმე,
რომ ძლია სიმძიმემ.
დაძირა ბალახების ზღვამ, მაგრამ რა?
დაიღუპა გემი ჩემი,
ჩემგან გამოქცეული, ჩემში მიმორღვევით,
ტკივილი უჭეშმარიტესი,
ტკივილი უნათლესი,
მთვარის გამთლიანების,
მზესთან შეხვედრის,
და ტკივილთა უზესთაესთა

რღვნაი ყოველგნით,
მასთან განშორებით,
მასთან შეხვედრით,
ვეძიე ძიებით უსასტიკესით,
არპოვნის სურვილით და პოვნის
წყურვილით,
ძიებით ძიების სიძულვილით,
ტკივილი ტკივილთა უზესთაესი,
რაღაც ჩემეული, რაღაც ერთადერთი,
ძაძით შეძეძვილი, ნათელზე ნათელი
და ერთადერთი სრული,
მხოლოდ ჩემეული,
მხოლოდ მტკივნეული.

გველების მოდგმა

გველების მოდგმა წამეკიდა,
დამიწყო მტრობა,
სისხლი, დაწმენდილი,
ამიმღვრია მე ამ ბრძოლამ,
მოდით, შამამხვდით,
რად დადექით შორად?
ერთად ვუზიდოთ საჭმელი ყორანს.
ძირ-ძირ დათხრილი ხეებით
შეგიკრავთ ბორანს,
სისხლის ტბას გაკვეთს სწორად,
საიმქვეყნიოს ხომ არა ჰგონებთ შორად?
მაგ თქვენს ცუდ ყმობას
გაგიფენთ ფონად.
არ გაგიმუხთლეთ, ამოგეგებეთ,
რაიღა დამირჩა?! წამეკიდეთ,
დამიწყეთ მტრობა!
გასწით, გამზადეთ ველები,
უნდა გაწვიოთ ზიანი,
ზოგს აგიტირებთ დედებსა,
ზოგთ მტვერი ჭამეთ გზისანი,
თუ მთის თავს შამაგეყარეთ,
მოსკდება ზვავი მკვდრისანი,
თუ ჭალას შამომეფეთეთ
ადგილ ვერა სცნათ ცდისანი,
წადით, აწვიეთ გლოვითა
თქვენ სულთა გამომტირალნი,

ჭურნი აავსეთ ცრემლითა,
ნაწნავზედ ჩამომდინარით,
თორემ თუ შამამეყარნეთ,
უკვე იქნება გვიანი.
მუხათ შტო შამაემტვრევათ,
ქარი იდგება ხმლისანი,
გასწით, დათხარეთ საფლავნი
თქვენ ზომა სიდიდისანი.
ცხენზე თუ ნახოთ სიკვდილი,
ჩემი ნაფიცი ის არის,
თუ შაგეყაროთ ბინდი რამ,
ჩემ ჩოხის ნაწყვეტ ის არის,
თუ შაგეპარათ ნისლი რამ,
უფსკრულთა პირსა მძინარი
იცოდეთ ჯავრი რამეა,
ჩემ მკერდით გამომზირალი,
გულის მჯიღს დაუტევნელმა,
ცაც გამოჭედა მტირალი,
თუ სადმე წამაგელალათ,
დაგძალოთ შიშმა, ის არის!

ჩემ მტერი წამკიდებელი, მხოლოდ
მკვდარ ნახოთ მძინარი,
ასრე გავუხდი საწუთოს,
სხივნი ეცივოს მზისანი.

* * *

როგორც შეუღლვილ ხარებს
მიჰქონდათ უღელი დროთა,
მზეს და მთვარეს,
ქცევამდე მიწად
მიმოვალ ფიქრად.
არ ვიცი, კვალი
სწორი მაქვს ვითარ,
ან მეხრე ბიჭად ვინ დგას!

კვალი მიჰყავთ ხარებს,
პირ-პირ აცურებენ მხარებს,
უღელი სწორი, უღელი თლილი,
უღელი წიფლის,
მაგრამ რაა იქით?

* * *

ვცხოვრობდით ტკბილად,
კისერზე ხმალმიბჯენილი ნოხებით,
ბუხარზე ღიპგადმოგდებული კოკებით,
აივნებს ვუდგამდით
რიკულებს კანჭებმაღალს,
ხევსურულ ნაქარგს ვსცემდით თაყვანს,
და ყოველდღე ვსწავლობდით ღალატს
არაისკარიოტულს, მხოლოდ მაგვარს:
საქართველო არის რითმა,

და საუკუნეთა დასაკარგავიდან
იმისთვის მოვედით,
რომ ერთით მეტი სადღეგრძელო
ამის შესახებ ქეიფის ზენიტს ითქვას.
საქართველო არის ოდენ რითმა?!

ცხოვრების დასასრული

ტყემლის ყვავილთა თეთრი რძიდან
დედდებოდა გაზაფხული,
და ქალაწოლა ამინდი იდგა.
აყვავებული ფიქრი
თვალებს მჭრიდა,
და გულის ფიცარს,
როგორც საშობად გამზადებული ყრმა,
გული ფეხებს ურტყამდა.
მოსულა ფური _
რძით სავსე სულით
და ამ ტრამალებში
მარტოობის ხორშაკებს უვლის.

დაკარგა ცხოვრებამ აზრი,
დღე, როგორც ვაჭარი ბაზრის,
ყიდის ყალბ თვლებს ყალბი ფასით.
და არ კარგავს მუშტარს.
მოდის შემოდგომა ქერისფერი,

და ხეებს სცვივათ თმები,
ქარის ქსულს არღვევს ქარი
და ჩიფჩიფებს როგორც მოხუცი ქალი,
არავისა აქვს გაგების თავი,
დღეს ეკიდება დღე,
როგორც ცრემლს ცრემლი,
მარილოვანი იქნება დასასრული
ცხოვრების ჩემის.

* * *

ივსება დილა მზისგან.
ღამე მკვდარი მთვარის მკლავებზე იწვა,
რძე დამშრობია, სულში ვიგრძენ.
შემოდგომის ჭრელ წინდებში
დგას ზამთარი შიშველი,
იწყება ღამე მკვდრისფერით
და მარხავს საგნებს.
მთვარის უძრავ ნაკვთებს
ასველებს სიცივე ღამის,
და სულს, ნაქებს,
ყრიან ნაგლეჯ-ნაგლეჯ.
სიმარტოვით ვიყავი სრული
და მქონდა განცდა, სულის უსრული
და მარტოობის
მტკივნეული წუთის წუხილს
დავატარებდი ბუნების ბილიკებით

უტყვით.
ახლა ცხოვრება იქცა
გარემოებების გროვად,
სული ჩემი გათხოვდა
და დაივიწყა სახლი მამის,
ერთხელაც მოვა და შედგება გლოვად,
რადგან მამა ეყოლება მკვდარი.

მკვდარი მთვარის მკლავებზე
განისვენებს ღამე,
ბებერია მთვარე,
დაღარვია სახე _
სახე უტყვი!
მაქვს რძედამშრალი სული
და უძღები ცხოვრება,
რომელიც უმწყსელად ტირის.
თავბრუდამხვევი ქარით
გადახნულ კვალში ჩავინერგები,
ბერწი მექნება სახე,
მე ქარში დამფლეს,
თუ ელიან რამეს,
ისევ მნგრეველ ქარებს.

რძე დამშრობია სულში
და რძისფერ ბილიკებზე სულის
სიცარიელეა სრული.

უმსგავსობის მხარე

ჩაინაპირა სისხლმა მთანი,
წყალმა გაუხსნა შეკრული გზანი,
გაწვა ლელიანში ვითარცა გველი,
სისხლი _ ბროწეულის ყვავილი
დანახეთქი.
სხივი დანატრებია მზესი,
სიკვდილი დგება უმწვავესი მზე ვით,
და სისხლი დაღალული ძლევით,
ელის, რაღაცას ელის.

მიმწუხრის იდგა ჟამი,
ბოლო არ სჩანდა
ამ უმსგავსობის მხარის,
იქნება, მეცვალა მხარი,
იქნებ, დამიბრმავდა თვალი,
და ვერ შევიცანი ჩემი დარი
ამ უმსგავსობის ჯარში?!
მიმოირწევა ქარი.
ქარი, ხმადამშრალი ქარი,
და უსახურობის დარი
უდაბნო აზვავებული, არის.
ჩემში მოჩუხჩუხე წყარო
სურს შეიტკბოს, შეიმშრალოს,
მაგრამ აწრიალებულა წყალი
და მისი უწვრილესი ჭავლი
ამიცახცახდება ხმაში:

,,ჩვენს შორის უმსგავსობის
არის ნახეთქი
და წყაროს ფესვი
არს მარტო ჩემში,
სიმხურვალისგან თუგინდ
მთლად დაგისკდეს ტანი,
არც ერთი უუფსკრულესი ხრამი
არ იქნება წარსადინელი წყალის,
ვერც ერთი ხრამი
ვერ დამიპირთავებს ჯამით.
მე, წარმდინარი წყალი,
წარვედინები ყოველი ზღვარით.”
ვერ ვიპოვე ჩემი ფესვი,
ალბათ უკვე კარგა ხანია შევსვი,
და ვესვი, ვესვი
სხივს აცეტებულს წყაროის თავზე,
შენ დამინახე, შენ შემიყვარე,
შენ დამიფარე,
ნუთუ იყავი სხვაი ჩემი,
რომ ვერ ვიპოვე ამ უმსგავსობის მხარეს,
შენით იქნება ეს წყარო სავსე
და აავსებს ყოველ ჯამს,
ზღვარს ყოველს აუქცევს მხარს,
მაგრამ გესლით დანერწყვილია გული,
ამ უმსგავსობის მხარეს
და, მორეკს ხმადამშრალ ქარებს.
მიგმირეს ლახვარი უბოროტეს მტერთა
და შიგთავსი გადმოიქცა

სისხლად ჩემგან,
მართალია გველად, ასპიტ გველად,
მაგრამ ისიც ნატრობდა
სხივთა უკანასკნელთა შვებად.

ფეთქდა მიმწუხრის ჟამი,
როს ჩაინაპირა სისხლმა მთანი,
წყალმა გაუხსნა შეკრული გზანი,
გაწვა ლელიანში ვითარცა გველი
სისხლი - ბროწეულის ყვავილი
დანახეთქი
და მოიძია სხვაი ჩემი.

* * *

მანამ არაა გვიან,
ამოუსვი ხელი თიხას
და გამოუხატე სუროს
ყელი გრძელი,
გვერდჭრელი შველის,
და ტუჩი ჰქონდეს მარად სველი.
გამოივლის ვინმე მწირი,
დასიცხული ფიქრით,
რომ დაამწიფოს სიტყვა ტკბილი.
მწიფე ხუვილის ჰქონდეს ხრილი
და შვლის ნუკრის თვალთა ჭრილი,
და ქალწულივით მორცხვად ეჭიროს თავი,
წყურიელთათვის ჰქონდეს წყალი
და მერე...
თუნდაც კვდებოდეს ხმადამშრალი.

სატრფიალო

გადამიმთიელდა გრძნობა,
ფიქრები გადიქცნენ ხროვად,
მოვალ, შამამხვდი ფონად,
მოვალ, ჩამავგავ მთვარეს ღამოვანს.

დამაცვდა ძაძა,
არ ხამს მიჩანდეს
თეთრი მხარი მთვარის.
შემიკერე პერანგი
წითელი, მოვის,
შუითგან საკინძე სხმული
შვიდგან შეკრული,
მაგრამ არ შემიხუთო სული.

აისს ვემსგავსები მაისს
და სახით ხმაუძრავი ზარის
გპირდები ქვეყნიერების შეძვრას,
მჭირდება მხოლოდ ერთი ხელის ხლება.
მაგრამ ნუ დამსხამ ბაფთებს,
ჭრელებს და ნაფლეთ-ნაფლეთს.
მაკლია სხივი,
სხივი განთიადის
რომ ვიქცე მზედ.
მოვალ შამამხვდი ფონად,
მოვალ ჩამავგავ მთვარეს ღამოვანს.

ნახატი მზეები

ცეცხლმოდებული მამლების კუდებით
ნახატი მზეების მიდიან გუნდები,
ჩაჯდება უკუნი ცარიელს ბუდეში,
მჭირს ავადმყოფობა გადაუდები.
დაჭენებული ღობესავით
ვერ შეაკავებს ღამეს მთვარე
და ღამურები სიჩუმეს ხრავენ,
ყველამ და ყველაფერმა გამწირა
ქვეყნად,
თითქო ვიყავი მძიმე შლამი
და მომასვენა მდინარემ მკლავით.
დაძველებული დარდი ბრძნული სახით
დადის,
დედაა სახლის.
სული ნაზია და ფაქიზი,
როგორც ფიფქი,
თოვს გაზაფხული ყვავილების ფიფქით;
რადგან ქარებია დიდი,
და ამ უკიდეგანო ქართა ზღვის შიგნით
ჩანს მიმომხსვრევის ღირსი,
ყვავილების აფრებით მავალი ფიქრი;
ყველამ და ყველაფერმა გამწირა ქვეყნად
და როგორც შლამი
გამომასვენა მდინარემ მკლავით;
ვინ იცოდა, რომ იყო სული
ფიფქივით ფაქიზი და ნაზი.

მამლების ცეცხლმოდებული კუდებით
ნახატ მზეებს არ აქვთ
დაყუდების დარდი,
მხოლოდ ამის ჯავრიც
ჩაადნობს სულის ყვავილს
მღვრიე ტალღების ჯაჭვში.
და აწი, ალბათ, უნდა დავება მათით,
როგორც ცოფიანი ძაღლი.
დაჭენებული ღობესავით არის მთვარე
და რაი შეაკავებს აწი ღამეს?!
და თოვს, თოვს გაზაფხული
ყვავილების ფიფქებს,
ხან უნაზებს და ხან უფაქიზებს.
მისდევენ მზეების გუნდები
სიკვდილს, როგორც ბატის ჭუკები.
ვერრას მიშველის ახლა ეს ქვეყანა,
მამლის ცეცხლმოდებული კუდის
მსგავსად
გინდა ყოფილა, გინდა არა,
მზეები მაინც გარდავლენ საზღვარს.

წმ. პეტრეს სინანული

ამა სოფლის თავადს სული ჩემი
ჰყვანდა მხევალ ქალად,
ცეცხლი აღუგზნიათ,
ცეცხლი აღუმართავთ
მტკიცე კარვად,
ცეცხლთან ვთბებოდი,
ღმერთი ჩემი საკიცხად წამოეყვანათ.
ეს ცეცხლი მიცნობს,
ეს ცეცხლი მიხმობს,
თუ ხარო კაცი ღმერთთა მხარის,
უნდა გქონდესო ძალა,
ეძიო ადამის დაგესლილი ქალა,
ჯვრის მაკურთხებელი ჩრდილის დაბლა.
უნდა იპოვო, მესათხევლემ,
დაკარგული დრაქმა
და გადიხადო ხარკად.
ღმერთთა მხარიდან
მოსულხარ განა
და არ გაქვს ძალა,
დანაკის კუდებით
და ბაიებით მავალს,
მკერდზე მიეყრდნო ჯვართან?
შიშის მამლის
ხმობამდე სამგზის,
იხსენე სამგზის,
თაბორის მთაზე

სურვილი კარვის.
იქ დაყოვნება ნატვრის,
აქ დათხოვება ნათლის,
აქ ცეცხლის ენა
და ყინელის კბენა
და თაბორის ნაცვლად
ქვეყნიერება ქცეული ნაცრად.
ცეცხლი აღუგზნიათ,
ცეცხლი აღუმართავთ,
მტკიცე კარვად
,,აქ დაახანე, იქ დახანების ნაცვლად”
- გეტყვის მხევალი,
ღამის ცეცხლით მთბარი,
ო, ენა, ენა, ენა
როგორი მტკნარი,_
ვითარ მამალი, მჭრელი ხმალი,
გეთსიმანიის გაუთევარი ღამის.
ღმერთთან დახანების კარავს
ალტობს მეწამური განთიადის ტალღა,
როგორც დადევნებულ ფარაოს ლაშქარს.
როგორი მწარე,
როგორი მწკლარტე
ზღვა ძევს,
ხელი აღმიპყარ,
უშენოდ ვერრით განვლე
ეს განუჭრელი მხარე.
ეს შენ მიბრძანე,
ღმერთო ჩემო,

შენს შესახვედრად
ცრემლების ზღვაზე მევლო.
ნუ დამიტევებ,
ზღვაზე ურწმუნობის
ესოდები ქარი მეფობს.
მოდი, მატარე
ამ აურწყავ ზღვაზე,
განა საოცრებაი ხარ რამე,
არამედ ღმერთი ხარ ჯვარზე
და კაცი თაბორის მთაზე.
სისხლი სისხლთაგანი,
ხორცი ხორცთაგანი,
რათა სამეუფო სერზე
ღმერთს გჭვრეტდე
მიყრდნობილი მკერდზე.
განა საოცრებაი ხარ რამე?
თუკი მე ეს ცრემლების მწკლარტე ზღვა,
ვერ რით განვლე
და დავივიწყე ღმერთთა მხარე.
ამა სოფლის თავადს
სული ჩემი ჰყვანდა მხევალ ქალად?
ცეცხლი აღუგზნიათ,
ცეცხლი აღუმართავთ,
მტკიცე კარვად,
ცეცხლთან ვთბებოდი,
ღმერთი ჩემი
საკიცხად წამოეყვანათ.

ალუდას ხსოვნას

მაგარი მეგობრობა გცოდნიათ, ძმანო!
მეც თქვენი ძმადნაფიცი მინდა, რომ ვიყვე.
ჭიუხს შეფარული ნისლების ნადევნ
მთებზე მიმობნეულ ბილიკებს მივყვე.

სიყვარულს გავერინდე, საკინძე ამწყდა,
მერე დავეფერე მიდევნილ ნადირს,
სიკვდილ დანაპირებ სიყვარულს ჰგავდა,
ანდა ძერის გატყორცნილ აჩრდილს.

თუკი გუდანის ჯვარს მივუყვანთ საკლავს,
ვინძლო, თქვენ გულს-წილ ოდესმე ვიყვე.
არ კი საამქვეყნო მქონია გარჯა --
სამარადჟამოდ მაგ ლაშქრს მიყმეთ.

რაღაც დანამდვილებ გრძნობათა საფარ
_ გული ვერ პოულობს განაზომ
სიტყვებს.
უკვე ყველაფერი გამხდარა საღარ,
ზურგსუკან ნამიზნებიც სიყვარულს იტევს.

თუკი გამითავდა ბილიკი ამ ღამ,
ვიცი უნდა ვიყვე, მაგრამ აღარ,
ნისლი წამახურეთ მაგ მაღალ მთათა
ნისლი - გაუვალი და გულში ნაკრავ.

2013

* * *

როგორ იჯანჯლება
უკვე ამინდი,
შენ ხომ მარადისობამდე
წაყოლას დამპირდი!
ახლა შემხვდი და
სხვაგან განილტვი,
ვიცი წვიმაა და გზები არ იცი,
გზა კი დიდი ხნის
უკან წაშლილი,
წვიმაში გახამებული
ხმალივით გაწვდილი,
იბასრება
და მე უკვე არ ვიცი,
წაყოლა მინდა
თუ დარჩენას განვიცდი;
როგორ იჯანჯლება
უკვე ამინდი!

2015.28.10

ჯუთა

ნუთუ გავახსენდი ვინმეს?
ნუთუ მოვენატრე კიდე?!
მთებზე მიბნეულა დილა,
ბალახზე სუნთქვას ცივა.
მინდა მოგიყვე ისევ,
როგორ შევიცვალე,
როგორ დავიცვარე სუსხში.....
იწყება დილა ცვრიდან
და მეც გულში მტკივა.
შეხორცებული ღამის
ანაგლეჯს ჰგავს,
ეს გაჩვილებული მიწა
და ფიქრმა სრული
სიცარიელე მითხრა!

ნუთუ გავახსენდი ვინმეს?
ნუთუ მოვენატრე კიდე?!
თავში სიცარიელეა სრული --
თითქო გაიყოლა ტვინი
შუბლში ნამიზნებმა ტყვიამ.
და მივეწიფე ახლა
მთებს,
და მთებს იქით მზის კარს.
იწყება დილა ცვრიდან
და დაბლაყუნობს ჟამი,
თითქო მარადისობა იცავს.
ხელისგულებზე მიწის,
ნამით აგროვებულა დილა;

მინდა, შევსვა და გითხრა:
ესაა კიდე სულის,
მერე უარესად ყინავს.

ნუთუ გავახსენდი ვინმეს?
ნუთუ მოვენატრე კიდე?!

2015.13.08

* * *

სევდის ღაღადისათ
მიხმე მარადისში.
მინდა დატოვებით
ვიყო საკადრისი.
დუმილს ვამჯობინებ
დუმილს სანატრისზე.
ოდეს მისაკლისებ
ვინძლო მისაწყისო.
მიხმე! გელოდები --
მღვრიე მდუმარებით!
თორემ ვიძირები --
ვარსკვლავთ შორისებში.
სევდის და დუმილის
მძიმე შეფარდებით
მთვარეს ვეფარები,
ნუღარ მიმატოვებ,
ვიდრე მეყვარები..

2014 III

დატირება

დაიწყო დასასრული
თითქმის უნებლიედ
- ზამთრის მინაჩვევზე
მყინავს გაკვირვება!

უკვე დავიკარგე
სადღაც უსიერში,
ახლა ისეთი მაქვს
გულში გაციება.
აღარც პოვნას ვითხოვ,
აღარც მიმოძახილს,
ახლა მინდა მარტო დატირება!

ვიცი, სადღაც მთაში
მარტო საყდარია -
ქარნი იმ საყდარში
ლოცვად მიმოდიან.

ვიცი, იმ ქრებში
არის ჩემი ქარიც,
ძაძა აცვია და
ცრემლით სავსე კალთით
სანთლებს დაუყვება,
სუნთქვას ამოაცლის.

მინდა, იმ საყდარში
სანთლის ჩამონაღვენთს

თითებს ვაყოლებდე_
ხელში მაკვდებოდეს
მათი გაციება!

ლოცვებს ვიძახოდე
სიტყვებამონაგლეჯს
და ყელშიგაჩხერილ ბურთს
აღარ მაგონებდე -

ვატყობ, ვერ ვეჩვევი
მაინც დანაკარგებს,
თითქო ნაბიჭევი
საღმრთო სერობიდან
მიმოფანტული ვარ,
მიმოკარგული ვარ!

სადღაც უსიერში
ალბათ, საყდარია,
ყველა დაკარგულებს
იქით ეძახიან

2014 III

* * *

როცა ხასიათზე
ვდგები ტირილის,
ვერავის ვერ ვამჩნევ
ცრემლების სიხშირით.
მერე მიმითვალოს
თავის ბაგას,
მუხლის ჩოქით ვვედრი
გამჩენს
და შენ ამ დროს სად ხარ?
ისევ მენატრები და ისევ
ცხადად.
გულის ჯიბეში განაცვეთი
წერილის განცდით დაღლილს,
მომელანდები
და თვალს გაგაყოლებ
გულგრილად გავლილს
ამ მკვდარ ხალხში
და სიმარტოვე იტყვის თავისს-
გველის წიწილი_
ბარტყი დარდის.

როცა ჩამესმება საღმრთო ჰარმონია,
ცხოვრება მეგონება
ალბათ აგონია!
აღარც ნაოცები_
გულში ნაოცნები
ბოლო ოფლის მსგავსად

შუბლზე გაციებით.
აღარც წარსული
და აღარც არაფერი!

წყლიდან ამოგდებული
თევზის გავეშებით,
ცივ ქვებს დავეხლები,
ღმერთო, ზღვა სადაა,
თორე დაგემტვრევი!!!

03.01.2016

* * *

მთებზეა თეთრი თოვლის ბუდეები,
მტკვარზე თოლიების გუნდები
და ჩამოღამებულ დღეებში
მომაკვდავივით მინდება-
კიდევ რაღაცეებზე ბაასით
უსაგნოდ ერთფეროვნების მიდევნა!

თბილისში ყველაფერი მოძრაობს
და თან არაფერი იცვლება;
ტალახიან გზებს ყინვები
გვერდზე ჩარჩოებად მიყვება.
მე გამწვანებულ მტკვარს ვხედავ,
შთენილს მეთევზეთა იმედად,

არც მოტირალი მელექსე
და აღარც იმედიანი სიმღერა.
ყველაფერს დაუსვა წერტილი
ტივზე ატივტივებულმა ფიქრებმა!
ვიცი, ვერ ვამჩნევ უმთავრესს,
დაჭერილი თევზივით მისხლტება.

თოვლის ბუდეები მთებზეა---
ქალაქში სიცივეები იბნევა

11.02.2016

* * *

ქალაქში ნისლები აცურდნენ ტივებად
მზის გულისფიცართან ხვდებოდნენ
ალიონს,
ვიცი, დღე იქნება მსგავსი წარსულის,
იუდასავით გამყიდა იმედმაც.

დღის პეშვით მზის სხივი მინდა დავლიო,
თორე წურწუმი აღრჩოლებს ყალიონს,
ნისლები, კრავებად მიდენით მოსულნი,
სევდით კვებავენ მზის ქვეშა საუფლოს.
ყველა გაყიდვა და ყველა ღალატი
ფერდის ძვლის შემუსვრით სრულდება.
ახლა მგონია ესაა ამბავი:

ცოცხალი დარჩი თუ მკვდარი ურგებად.
იყო წარსულში დილამდე ბაასი,
ახლა დილაა, წასული ნისლებად.

17.02.2016

სიკვდილს

სიკვდილს რა უნდა ჩვენთანა?!
სიკვდილს მემგონი ვუყვარვართ,
ასე დედური გუმანით,'
სულ მუდამ გვყავს გვერდთანა.
ასე ქალური ალერსით,
მოგვეფინება ფერხთანა,
არ იცის მაგან ღალატი
იცის პირობის შენახვა.
მე და სიკვდილი შავფერი
დავიარებით ერთადა
სულ მუდამ ვემახსოვრები
გამოგზავნილსა ჩემთანა.
ჩოხის კალთაზე დანაფლეთს
ამ საწუთოის კბენასა,
სიკვდილი გარდაუვალი
მოეფინება მხსნელადა!
სჯობდეს ვინ იცის სიკვდილი,
ამ უაზროსა გდებასა;
სამშობლო გაგივერანეს

ვერა ტვირთულობ ვერასა!
სისხლით ნაერთებ მიწასა
უსისხლოდ უთმობ ყველასა,
სჯობია ნაღდად სიკვდილი
უპატრონოსა გდებასა,
მიწაში გამოხვეულსა
სინდისი ველარ გქეჯნავსა,
კავკასიონზე ამირანს
გამოშიგნულსა ვხედავ და
სიკვდილთან ვიყვე ჯაბანი
ჟანგიანი ხმლის ჭერასა,
ალგეთს ლეკვების თამაში
აუტანია წერასა.
ბაზალეთის ტბის აკვანში
ყრმასა ვერავის ვხედავა.
სიკვდილი თუ არ მიჯობდეს,
მე ამისთანა თმენასა.
მოდი დაჰყეფე არწივო
სიკვდილის გამოჩენასა!
იყვე და საქმე ვერა ქმნა
ეწიოს დამაწყევარსა!
დარლამსაც შეწირული ხარ,
ყელთან ჭრილობა შეგახმა,
მტრის კარს კიდია მარჯვენა.
ელის ქარების რხევასა,
თუ არა ჯობდეს სიკვდილი
ასეთსა დაბადებასა,
მიწაში ვიწვე ჯობია

ამ არტახების ჭერასა.
შავ ჩოხაშია სიკვდილი
ფრანგული ხელში ელავსა,
ერთი წუთია სოფელი
გავს წელზე ქამრის შეხსნასა;
მარადი ყოფა სულისა
ვერ დატეული ვერსადა,
შენ გაიხარე სიკვდილო
მიმყვანებელო ღმერთთანა!

18.03.2016

დაიბეჭდა შპს "ფრანში"

ISBN 978-9941-0-8736-3

Gustav Klimt